

579  
1961


# ԸՆԴՈՒՄ

«ԸՆԴՈՒՄ» ՕՐԱՆՆԱԿԱՆ  
ՎԵՐՈՒՄԻՆ ԿՐԹԱՆ ԹԵՄԱՆ  
ԵՎ ՏԻՎԻՅԱՆ ԿՐԹՈՒՄԵՆ  
ԿՈՄԻՏԵՆԵՐԻ ԳՐԱԴԱՐԱՆՆԵՐԸ

№ 3 ՀԱՅԿԵՍՏԱՆԻ ԵՎ ԼՍՏԱՆԻ ԿՐԹՈՒՄԻՆ ԵՎ  
Յ. Ո. ԿՈՄԵՆԻ ՆԱԽՆԵՐՄԱՆ ԵՄԻՆ ՅՈՒՐԵՆԻՔԻՆ  
ՄԱՅՈՒՆԱՅԻՆ ԴՏԱՅՈՒՆՆԵՐԻ ԿՐԹՈՒՄ ԺՈՒՐՆԱԿ

ԳՐԱԿՑԻ  
1961






# 8 მარტი

მადან ლებანიძე

სკოლის კარებთან დახვდა  
დიღით გოგონებს გია;  
არც ნაწნავეში წასწვდათ,  
ალარც ყვირილით სდიათ;

ადერსით მიესაღმა:  
— ჩემო ნია და ღია,  
რვა მარტი მომილოცავს! —  
მკვრის დაბნიათ ია...





ლითონი დაპროზოვილი

სავერდოვანი მოლით დაფარულ უსოსთან მანქანა გაჩერდა. მანქანიდან ქეთინოს ზანა გადმოვიდა. სელში მოხრდილი ბადე ეჭირა. ბადეში ჭრულად მოხატული რამდენიმე მუგოს კოლოფი იდო.

— ზანა ჩამოვიდა, ზანა! — შესძახა კახარებულმა ქეთინომ, მურღულივით გაქანა მისკენ და ველზე ჩამოეკონწილდა.

— რა ჩამოეკიტანე, ზანა?

— აი, წამოდით, ნახეთ. ერთად გავსწავთ და მითხარით, მოგეწონებათ თუ არა, — დილით მიუგო ზანამ.

ქეთინოს ამხანაგები ადევნენ და აივანზე ბავშვების მთელი ჯარი შემოლაგდა.

ზანა ტანსუცე ჩამოჯდა და ბადიდან კოლოფების ამოღებას შეუდგა.

— ეს დედოფალა იცი, რა ჭკვიანია? თუ დაწვეენ — დაიძინებს, თუ ააუენებ — გაი-

ნახატები ლაპარა ლანელიანი

ღვიპებს, აი, სწორედ ისე, როგორც შენ იცი სოლმე: შენ სომ უკვე დიდი გოგონა ხარ, სადაც არის ოთხი წლისა შესრულდები, — აღუწინაინი დიმილით ეუბნებოდა ზანა ქეთინოს.

— უი, რა ლამაზი დედოფალა! — აღტაცებით შესძახა ქეთინომ.

— მომე, მომე! — დედოფალსაკენ სელი გაიწოდა ახალგაზრდა მუღამა დაიკო სათუნამ. ქეთინომ მაშინვე მიაწოდა დედოფალა.

— ზიზი! ზიზი! — შესძახა სათუნამ და დედოფალა ჩაბღუჯა.

— აი, კიდევ გასაბერი ბურთები, — თქვა ზანამ და ბურთები გაბერა, ერთი სათუნამს მისცა, მეორე კი — ქეთინოს.

— აქ რაღაა, ზანა, აი, ამ კოლოფში? — თითი დანდო გაუსწნელ კოლოფს ქეთინომ.

— აქ კი მძვენიერო ზღაპარია, შვილო.

1158



ეს ზღაპარი შენ შენინად იცი. გახსოვს, ერთ-  
ხელ რომ გიამბე წითელქუდაზე? სწორედ ის  
არის. აი, ამ ჰატარა მრგვალ კოლოფში და-  
ხვეულია კინოსურათი, რომელზედაც დას-  
ტულია წითელქუდას თავკანკაფალი. მი-  
უჩე! სურათის ბუდეში ჩავდებ. შენ კი ბუდე  
ისე მიიტანე თვალთან, რომ საჭკურეტ მინა-  
ში ჩაიხედო. ჰატარა რგოლი ნელ-ნელა ატ-  
რიალე და მიელ ზღაპარს შენი თვალთ  
დანისნაე.

ბავშვებს უცბად გამოეყო სასემოლუშული  
გოგონა, მოუჩიდებლად წამოდგა წინ და  
ქინიანად მოითხოვა:

- ჯერ მე.
- ჰანამ გაოცებით მესედა მოზრდილ გო-  
გონას და ჰეითხა:
- რა გქვია, გოგონა?
- ჯერ მე — გაიმეორა გოგონამ.



- ჯერმე გქვია?
- ნატო მქვია, — წაიბუზღუნა გოგონამ.
- რა კარგი სასული გტქმევია. რამდენი  
წლისა ხარ?
- ექვსი წლისაა, — წამოიძახა ნატოს  
კეერდით მდგომამ ბიჭუნამ.
- მაშ, ამათი ვეკლასე უფროსი შენ  
უოფილხარ. იმიტომ ხომ არ მოითხოვ, ჯერ  
მე უნდა ვნახო, რომ უფროსი ხარ?
- მაგან სულ ეგრე იცის, სულ „მე“,  
„მე“-ს გაიძახის, — თქვა დათომ.
- აბა, ეგ როგორ გეკადრება, — განაგრ-  
ძო ჰანამ, — ჯერ უმცროსებს უნდა დაუთმო  
და მერე შენ ნახო.

ნატო გაიფხორა და ნაწუნი გადგა განზე.  
ჰანა ვეკლას რიგრიგობით ასევედდა კი-  
ნოსკოტში და თან უამბობდა, თუ რა კანს-  
და წითელქუდას.

სურათის ყურებით გული რომ იჯერეს,  
ბავშვები ესომი გაცვივდნენ. იქ ორი საქა-  
ნელა და რამდენიმე ჰამაკი ეკიდა, რომლე-  
ბიც ვეკლამ დაითითოვა.



დათო თავის საქანელსაკენ გაიქცა, მაგრამ ნატომ დაასწრო ჩაჯდომა. მაშინ დათომ მეორე საქანელს მიაპურა.

— ან დაჯდე! ეგ ჩემი საქანელა! — შესჩვივლა ნატომ, დათოს საქანელიდან გადმოსცა და თავისას მივარდა, — ან გავიშვებ! ჩემია, ჩემია!

ბავშვები ჯერ მოიღუშნენ, მერე სიცილი დაღერუნს ნატოს.

— ჩემია! ჩემია! — წამოიძისა ერთმა გოგონამ ნატოს გამოსჯავრებლად: — უფლებფერსე „ჩემიას“ გაიძისის, თავის სთამაშოს არავის ავრებს, თვითონ კი სსვას სტაცებს.

— წამო, ვის, ძვას რას უუურებ! — უთხრა დათომ. — ქეთინო, რეზო, წამოდი, ერთად კითხამათ. ნატოსთან რომ აღარავინ დარჩება, ვიღას გააბრწყებს!



## ბოსტანში

სიმონ შაჰურიანი

ფუსფუსებენ ბოსტანში  
ღია, შშია, ოთახი,  
აქ რეჰანი დათესეს,  
იქ — ქინძი და ქონდარი.  
ნერგის დარგვაც იციან  
თავის სული თითოვით,  
ჩამაწყვირებს დამაბად  
პამიდორის ჩითილი.

ქარხალი და კომბოსტო  
როლი დავიწყებით;  
მუშაობენ შიგლი დღე,  
შეასვენებს ბებია.  
— ასე, ჩემო კარგებო, —  
ილიმება პაპილო, —  
წელს შიგლ სოფელს გულფა  
ჩვენი კიტრი, სტაფილი...

ნახატი ნ. შხსნიძისა





# რუსთავი

მინათონე კვიციანიძე

აღბათ, გინახავთ რუსთავი,  
 ეს ძველთაძველი ალაგვი,  
 რომ ალსდგა ნაჭაღაჭარზე  
 კომუნისტური ქაღაჭი.  
 ქართულ ფლადელს სამუქედელს  
 ყვედგან გაუთქვამს სახედი,  
 სწორი, დამაბი ქუჩები,  
 ჩუქურთმიანი სახლები.  
 ცადაბილული მიღები  
 უზბანძმბარი ქარხნების,  
 ხეები, მწვანე ხეები,  
 ათასობით და ასობით.  
 ქაღაჭი მეტადურგისი,  
 ქაღაჭი — ახალგაზრდობის.




ნარგავეების მწვანე სამოლს  
 განთიადის სილა არხვეს,  
 დგას რუსთავი — შრომის კერა,  
 საქართვედელს სიამაყე.  
 ქართულ თუჯს და ქართულ ფლადელს  
 აკვანი აქ დარწმევია,  
 ირგვედ მეტადურგეული,  
 ქიმიური ქარხნებია.  
 ყოველ მხრიდან მოიჩქარის  
 ვაგონების მთელი ჯარი.  
 თინას გზაენის შრომის მიწა,  
 რკინას — აზერბაიჯანი.  
 აგერ ახალქაღაჭიდან  
 საწვავიც აქ გაჩენილა.  
 ქვანახშირი მოლაუგუნებს  
 ტყობულიდან, ტყვარჩედიდან.  
 ვაგონები ვაგონებზე  
 იცდებიან სწრაფად, ხშირად,  
 და ქარხანაც აკვანის  
 ვეშაბივით ბორკავს, ქშინავს.

ეს საბრძოლველ საამქროა,  
ვრცელ მინდორზე გადაშლილი.  
აქ ვროვდება მადანი და  
კოქსი—მკვრივი ქვანახშირი.  
ბრძმელს ქვემოლდან არხები აქვს,  
დიდი, განა ერთი ციდა.  
ერთში გადის მდნარი თუჯი,  
მეორეში—მთელი წიდა.  
ორთქილმავალი დღედაღამე  
მუშაობას არ აჩერებს,  
საამქროდან დიდ ციცხვებით  
ეზიდება მტვერს, ნარჩენებს.  
ღია ცის ქვეშ ერთმანეთზე  
ჯართი ყრია გორა-გორა.  
იგი ყველა პიონერმა  
შეკრიბა და მოაგროვა.

მაკრატლებით დაპირილი ღითონს  
რონოლებზე ათავსებენ.  
საწნახელის მავგარი როფებს  
სულ პირამდე ათავსებენ.  
მარტენში კი ჩამტვირთავი  
ელდება განა მუშებს?  
უზარმაზარ რკინის ხელით  
ჯართს ლუმელში გადაუშვებს.  
და ფოლადი დნება, დნება,  
იღვენთება ძლიერ ციცხვში.  
გამდნარ ფორას ლუმელიდან  
ათავსებენ დიდ ციცხვებში,  
ეს ჭურჭელი ცეცხლგამძლეა,  
სიმშურვადეს კარგად იტანს),  
მერე ამწე ციცხვებს წამსვე  
ვაგონებში გადაიტანს.  
რუსთავი ხომ სამჭედლოა,  
ფოლადი აქ იბადება.  
აქ იბრძვიან შრომოდებრი  
კომუნისტურ ბრიგადებად.  
ქართულ მილებს ყველგან ნახავთ,  
ყველგან, განა მარტო ჩვენში.  
ბულგარეთში, ინდოეთში,  
ჩინეთსა თუ აღბანეთში.

ნახატები თეანო სპასოენკოსა



# სპორტბურთი



## 3

ნახატები რეჟისორი სპეციალისტი

ახურებული საცეკვაო მუსიკის ხმა მოისმის ხოლმე დინამოს სტადიონიდან. იფიქრებთ, საწვრთნელ დარბაზში ქართული ცეკვა-თამაში გაუჩაღდებიათო. აბა, შეიხედეთ დარბაზში! — ბავშვებისათვის კალათბურთის დაბალი ფარები გაუკეთებიათ. პატარა სპორტსმენები რიგრიგობით ვაიტაცებენ ბურთს და კალათში ავდებენ.

მათი მწვრთნელია სახელგანთქმული კალათბურთელი ოთარ ქორქია. ვთხოვეთ მას საკუთარ თავზე ჩვენი მკითხველებისათვის ვამბნა რაიმე.

— როცა ვთხოვენი საკუთარ თავზე რამე გვიამბეო, — გვითხრა ოთარმა, — გინდა თუ არ გინდა, უსათუოდ ბავშვობიდან დიწყებ:

სოხუმში დედასთან ერთად დავდიოდი სკოლაში, რადგან დედა იმ სკოლაში მასწავლებლობდა. შინ მარტოს არ მიშვებდნენ. ამიტომ დედას დიდხანს ველოდებოდი ხოლმე სკოლის ეზოში. მოსაწყენად ვის ეცალა! დიდი ბიჭები ფეხბურთსა და კალათბურთს თამაშობდნენ. მე შურით გავყურებდი მათ. გულით მიწოდდა თამაში, მაგრამ ძაღვზე პატარა და სუსტი ბიჭი ვიყავი. ბავშვობაში თბილად მაძვედნენ, ჩემი ვაცივებისა ეშინოდათ. ბურთის სათამაშოდ არ მიშვებდნენ. ცოტას გავირობენდი თუ არა, მაშინვე გავოფლიანდებოდი, ხველება ამიტყდებოდა და ორი-სამი დღე ლოჯიანად ჩამავდებდა.

—ნუ აცმევთ ამ ბიჭს ასე თბილად!—იტყობდა ხოლმე მამა,—გაიყვანეთ ზღვის ნაპირზე, ნახათ მაშინ, ავადმყოფობა ახლოსაც არ გაეკარება.

მეორე კლასის მოსწავლე რომ გავხდი, სკოლიდან მარტო ვბრუნდებოდი ხოლმე. მახსოვდა მამის დარიგება და შინ ზღვის სანაპიროთი მივდიოდი. მიყვარდა ტალღებთან თამაში. ფეხსაცმელი რომ არ დამსვევლებოდა, ვიხდიდი, მეშინოდა, შინ არათფერი შევეტყუოთ. ყველაფერი კარგად მიდიოდა. მაგრამ ერთხელ თოლიებმა შემიტყუეს.

ღრუბლიანი ღლე იყო. ზღვა ღელავდა. თოლიები ნაპირთან ახლოს ფრენდნენ, ხმაურით ვშვებოდნენ წყალში და პატარ-პატარა თევზებს იჭერდნენ. ერთმა თოლიამ მეორეს თევზის წართმევა მოუნდომა. და ეს ყველაფერი ჩემს თვალწინ ხდებოდა. ძლიერ გამიტაცა მოჩხუბარი თოლიების ცქერამ.

— ამოდი, ბიჭო, ზევით, ტალღა მოდის,— დამიყვირა ვიღაცამ.

მაგრამ უკვე გვიანა იყო. ტალღამ გამიტაცა ზღვაში. მაშინ ცურვა არ ვიცოდი და ვიხრჩობოდი. წყალი საკმაოდ ვყლავე.

როდესაც თვალთ გავახილვე, ვიღაც ღორიერ კაცს ვეჭირე ხელში.

— ხედავ, იმ თოლიებს კინალამ გადაჰყვივი. არა უშავს, ეს პირველი ნათლობა კარგი ვაკვეთილი იქნება შენთვის,—მითხრა მან.

ირგვლივ უამრავი ხალხი შემომხვევოდა:

— პატრონი არა გყავს, ბიჭო?

— აქ აღარ დაგინახოთ,—გაისმოდა აქეთ-იქიდან.

მე წამოვდექი, ძალ-ღონე მოვიკრიბე და შინისაკენ მოვეუსვი. გზაში სულ იმას ვფიქრობდი: ნეტავ ღელა მოსული არ დამხვდეს, ტანსაცმლის გამოცვლა მოვასწრო-მეთქი.

ღელა უკვე შინ იყო. ქათამივით გაწუწულს შემასწრო თვალი... ორიოდვე ღლით ლოგინში ჩავწექი. ამის შემდეგ ზღვასთან ახლოს მისვლასაც ვერ ვებედავდი.

ერთხელ, სკოლიდან რომ ვბრუნდებოდი, იმ კაცმა გამაჩერა, ვინც დახრჩობას გადამპრჩინა.

— გამარჯობა, ყმაწვილო! მიცანი? ცურვა არ გინდა ისწავლო?—ღიმილით მკითხა მან.



— როგორ არა, მაგრამ ჩვენები ნებას არ მომცემენ.

— ეგ ჩემზე იყოს!—თქვა დაიმედებით. მართლაც, მამა დაითანხმა და მეც ცურვის სწავლას შევუდექი.

ჰო, რა გახარებული ვიყავი! ეს ჩემი პირველი სპორტული ნაბიჯი იყო.



ბურთივით ათამაშებდნენ ხოლმე საზამთროს. ვინც ვერ დაიჭერდა, თამაშიდან გადიოდა. ამის გამო თეთრი ხიდის ქვეშ მუდამ ერთი ყვილი-ხვილი იყო.

მე იქ სათამაშოდ არ მიშვებდნენ:—საზამთრო მოიტანე და მიგიღებთო.

მეც ავდექი და ერთხელ მეზობლის ბაღში გადავიპარე. ჩასაფრებულმა პატრონმა შემამჩნია და სახრით გამომეკიდა:

—ახლა სარ წამიხვალ, სად!

ეტყობოდა, ძალიან გამწარებული იყო და ყველას ჯავრი ჩემზე უნდოდა ამოეყარა. თეთრ ხილთან რომ მივალწიე, შემოვბრუნდი. ვხედავ, სადაცაა მებაღე ხელს მტაცებს.

უტბად მოვისასხრე: საზამთრო რიონში ვისროლე და ხილიდან ვისკუბე წყალში! ეს იყო ჩემი პირველი გადახტომა თეთრი ხილიდან. ბიჭებმა ერთი ამბით მიმიღეს.

\* \*

ჩვენი ეზოს ბიჭებს ბურთი არა გვქონდა და ქინჯის ბურთით ვთამაშობდით ხოლმე. ეზოში კალათბურთის კალათის მაგივრად კასრის რგოლი ჩამოვკიდეთ და ისე ვთამაშობდით. ერთ ამხანაგს ცხრაფეხას ვეძახდით, რადგან ძალიან სწრაფად მოძრაობდა. ჰოდა, ამ ცხრაფეხას მეთაურობით ერთხელ სპორტსკოლას მივადექით. იქ დიდი ბიჭები ვარჯიშობდნენ.

ჩემს გარდა ყველა შევიდა დარბაზში. მე კი, ძალზე გამხდარი რომ ვიყავი, მითხრეს:

—ჭირიანს ჰგავხარ, ბურთი რომ მოგხედეს, ხომ მოკვდები!

ვარჯიშს გარედან, ფანჯრიდან ვუყურებდი. ბურთი სწორედ იმ ფანჯრის მიწას მოარტყეს, სადაც მე ვიყავი ამოღებული. მინა გატყდა და თავპირდასისხლიანებულიმა ძირს მოვადინე ბრაგვანი.

მაგრამ ცხრაფეხამ ასე როდი დამტოვა. მისი წყალობით კალათბურთელთა გუნდში მიმიღეს. იმავე წელს მონაწილეობა მივიღე საქართველოს პირველობაზე კალათბურთში ბავშვთა შორის. მე, როგორც ტანაყრილი ყმაწვილი, დაცვაში ვთამაშობდი და მაღალ ბურთებს კარგად ვიღებდი. ამიტომაც „სურამის უღელტეხილი“ დამარქვეს.

\* \*

მაღე ქუთაისში გადავედი საცხოვრებლად. წყალი მიყვარდა, მაგრამ აქაფებული რიონის ტალღები მაშინებდა. ჩემზე უფროსი ბიჭები კი თეთრი ხილიდან ხტებოდნენ რიონში და მუდამ იმათზე მრჩებოდა თვალი. ეს ბიჭები თეთრი ხიდის ქვეშ წყალში

სპორტმა ისე გამიტაცა, რომ ჩვენს უბანში უკვე სამი გუნდი მყავდა: კალათბურთის, ფრენბურთისა და ფეხბურთის. მაგრამ ყველაზე უფრო კალათბურთი მიტაცებდა და ბოლომდე კალათბურთელი დაჯრჩი.

ქუთაისის გუნდმა საქართველოს ჩემპიონობაც კი მოვიპოვეთ რამდენიმეჯერ მონარდთა შორის.

ამის შემდეგ ბევრი შეჯიბრი ჩავატარეთ. ჩვენი გუნდის წევრებს ძლიერ გვეწუროდა სწავლის გაგრძელება უმაღლეს სასწავლებელში და თითქმის ყველანი თბილისში გადავიდით. თბილისის „დინამოს“ კალათბურთელები ბოლოს საკავშირო ნაკრებ გუნდშიც ვთამაშობდით. უცხოეთშიც გვიმოგზაურნია და მრავალი შეჯიბრი ჩავციტარებია.

ოთარი შეჩერდა. ოთახში ათასგვარი ჯილდოებით სავსე კარადას მოვკარით თვალი. თასები, ბურთები თუ სხვა საჩუქრები შეიგნით რომ არ დატყულთა, კარადის თავზე მოუთავსებიათ.

საპატიო აღვიღას დევს უმაღლესი ჯილდო—ლენინის ორდენი. იქვეა—ჩინეთში მიღებული ჯილდოები, ვეროპისა და საბჭოთა კავშირის პირველობაზე მიღებული ოქროს მედლები, იტალიიდან ჩამოტანილი მიიარანის სახელობის თასი. უცხოეთის სხვა და სხვა სპორტული კლუბების მრავალი ჯილდო მოჩანს კარადში.

ეს ლამაზი თასი კი კიევში, საბჭოთა კავშირის პირველობაზე მიიღო, — როგორც საუკეთესო სპორტსმენმა. აქვე არის მრავალი საპატიო სიგელი. ყველაფერს ამას ავგირვეინებს პირველი მედალი, ოთარმა ის


თოთხმეტი წლისამ მიიღო ბირთვის კვრასა და ბადროს ტყორცნაში.

ოთარი ათი წლის მანძილზე საბჭოთა კავშირის კალათბურთელთა ნაკრები გუნდის კაპიტანი იყო, ხოლო თბილისის დინამოს კალათბურთის გუნდს თორმეტი წლის განმავლობაში მეთაურობდა... მაგიდაზეა უცხოეთის გავთები: პოლონეთის, უნგრეთის, იტალიის, ბელგიის, გერმანიის; სხვა ქვეყნების გამოჩენილი აღამიანები ქება-დიდებით ისენიებენ ოთარ ქორქიას, როგორც მსოფლიო კალათბურთელს.

ოთარმა საუბარი განაგრძო:

— რამდენიმე წელია „ნორჩი დინამოელების“ მომავალ კალათბურთელებს ვავარჯიშებ. ისინი რომ უფრო სწრაფად და ხალისით ვარჯიშობდნენ, ქართული ხალხური მუსიკის თანხლებით მეცადინებენ, რათა უფრო მოქნილნი გახდნენ. ეს საკუთარი გამოცდილებიდან ვიცი.

ახლა ჩემი მიზანია, სამშობლოს აღვიუზარდო ჯანსაღი ახალგაზრდობა.



**რ**იერაგია. ზეცა ბრწყინავს და ნელ-ნელა ბინდი ტრება... ტყეში ფრთისან მგალობელთა გაიმართა დღიერება. ვინა გნებოთ, იქ არ იყოს: თვით სკინჩა და გულწითელაც. შუაგულში ბუბუბული ზის და მის სიტყვას უცდის ყველ უცხად შეწყდა სიმღერნა, მზე მიღამოს სხვითი ამკობს. ტყე ნაირფრად მოხატული ჰგავს ზოობარკს საარაკოს.

**ბუბუბული**

მგეობარბო, სიტყვა მიუცყო შაშვს—მგალობელს ნაამაყოს.

**შაშვი**

მაღლა ხეზე ბუბუ მჭონდა. დროს სიაშით ვატარებდი, შიგ შეილები მერბდებოდნ სულ თოთო და ბატარები. გუგალობი ხაზის და სოფელს, ტყე-ველა და მიწდორიანას, მზეს ვაქებდი, რომ ხედა უფრო ნათელი დღე მოეყვანა. მაგრამ მთელი ის სიკეთე დამიფხიდა, ვაჰმე, ცუდად— სულ მთლიად წყალი ჩამყარა. რაც ამ ქვეყნად კარგი მსურდა. გუმინ, როცა შეილებს საზრდოს გუზიდავდი, მგლის ნაბიჯით ჩემს ბუბუსკენ ვამოქანდა ერთი ვიღაც კინჩა-შიკი...

**მორკულა**

ამ, ისაა უბუბუდად— ჩვენწებანთ ზურიცკელა!

# სახივეარი

**შაშვი**

ამის შემდეგ არ ვმორბედი იმ ბიჭუნას ვირ-ფანჯარას, ვტუბობ შეილებს და პასუხად საბრალოთა კეწნა მზარავს.

**შაშვი**

დაიბ, სწორედ იმ ყმაწვილმა დაიაცუნა წუთით განა, გულს მომწყვტივა მაღლაზემი და შინისკენ გაქანა.

**მორკულა**

ნუთუ იმას არ ჰყავს დედა, ასეთ რამეს რომ გერ ხედავს?



**სკინჩა**

ნეტავ ერთი მაკოდინა, რასა ლიქრობს მისი მამა?

**ბუბუბულია**

რა ვუწოდოთ, თუ ეს ძველა მორკულა და... ვაჰმა?

**მორკულა**

რა ვუწოდოთ? რა თქმა უნდა, ცუდი შეიღის ცუდი მამა!

**შაშვი**

ამა, ერთი თვითონ ბრძანეთ: შესანიშნავ ამ ჩვენს დროში, როცა ყველა ბავშვი ხარობს მშვიდობის და მიზნის დროში.

როცა ჩვენთვის დია არის ბალი, ბაღა, ეზო-კარი, როცა ჩვენზე ასე ზრუნავს უამრავი მგეობარი, ნუთუ ვისმე ებატონს, რომ აღმართოს ჩვენზე ხელი? ნუთუ ვისმე ებატონს ავტყურა სატყეული? ჩვენ მუნდის მგონებთ ვართ, ჩვენ ხომ მუდამ კეთილს ველით.

**ბუბუბულია**

ზურიცკელა? მისი ხელი ყველა ჩვენგანს აარიდოს.

**სკინჩა**

ის ქორია, სულ პაწია მესციებდაც რომ არ ინდობს!

**ბუბუბული**

იმ ბიჭუნას ვასაკეცხად, თანაც თვალის ასახელებად ეს ამბავი ვამცნოთ ყველას, ჩვენი ნიჭის დამფასებელს, ცუდის მტერს და კარგის მჭებელს საჩივარი კი ვაბალოთ...

**შველანი**

იმ იონავა ზურიცკელას დედ-მამას და მასწავლებელს.




# ჭანჭიკულა და მკვნივი

გაყვალა მკვნივი

ნახტი ჯ. ლოლასი

ზი დედს! ჭანჭიკულას  
ლურჯა მუავდა ღომივითა,  
ანდამატმა დამიხელთა,  
ეს რა სუქე მომივიდა:

ვერ ვისენი ჩემი რაში,  
ძალა მეცა მკვნიტური,—  
ვსუნსუალებ და... ვერ ვინძრევით  
ერთმანეთსე დაკიდული...



მომეშველენ ჭანჭიკები —  
მობილები ზაწაწინა...  
მაგნიტმა რომ გააკავა,  
სულ შედიხედ დაწვინა.

ლურსმინის ჯარი დავიბარე —  
მეგობრები დიდებული,  
ვევალა ფეხზე დაშეკიდა,  
ვწევარ დამაგნიტებული,

ასმა ნემსმა თავი დასდო  
და ორასმა ქინძისთავმა...  
მაგნიტისგან რომ დაგვისხნას,  
ვინ იქნება იძისთანა?!

ბეშეგებო, „ზინოქიოს თავგადასავალი“ დადი, ძალიან დიდი ხნის წინათ დაწერა ცნობილმა იტალიელმა შერარდმა ქოლოდომ. ვინ არ იცის ზინოქიოს ამბავი! გრძელცხვირა ხნის თოჯინას მთელი მსოფლიოს ბეშეგები კარგად იცნობენ. განსაკუთრებით უუვართ იგი იტალიაში. საღვსმა სიუვარულით მეკლიც კი დუღუღა ხნის თოჯინა ზინოქიოს ქოლოდის მშობლიურ ქალაქში და ზედ ასე დაწერა: „უკვდავ ზინოქიოს მადლიერი ძკითხველებისაგან ოთხიდან სამოცდაათი წლის ასაკამდე.“

# ზინოქიოს

## თავგადასავალი



ეძახდა, რადგან ცხვირის წვერი მწიფე ალუბალს მიუგავდა, მუდამ წითელი ჰქონდა და უპრიანელებდა.

ოსტატმა ალუბალმა შეშის ღერი რომ მოიხელთა, საოცრად გაიხარა. ხელი ხელს მხიარულად შემოჰკრა და ჩაილაპარაკა:

— სწორედ რომ დროზე ჩამივარდა ხელში. მაგიდის ფეხს გამოვთლი!

მაშინვე მტრელი ცული აიღო და ხეს დაჰკრა. დაჰკრა თუ არა, შეშის ღერი მუდარის ხმით აწრინდა:

— ნუ მცემ, გეთაყვა!

განცვიფრებულმა ოსტატმა სახელოსნო მოათვლიერა, მაგრამ არავინ ჩანდა. დაზგის ქვეშ შეიხედა, კარადაც გამოალო, ნახერხითა და ბურბუშულით სავსე კალთშიც ჩაჰყო თავი, მაგრამ რა დაეკარგავს, რას ეძებო, არავინ იყო... ბოლოს ქუჩაშიც გაიხედა, იქაც არავინ ჰკანებდა.

— მივხვდი, — ჩაიხითხითა დურგალმა, — თუთუოდ ყურმა მომატყუა. ეჰ, ჯობია, ისევ ჩემს საქმეს მივხვდი!

მან ხელმეორედ აიღო ცული და ღონივრად დაჰკრა ხეს.

— ვაი, მატკინე, მატკინე! — აღრიალდა იგივე ხმა.

დურგალ ალუბლისათვის ეს უკვე მეტისმეტი იყო. შიშისაგან თვალეები შუბლზე აუცოცდა,

ქოლოდი

ნახატები ღ. ხახუშაშვილისა

**ი**ყო და არა იყო რა...

„იყო ერთი მეფეო“, — საჩქაროდ მომიგებენ ჩემი პატარა მკითხველები.

არა, ჩემო პატარებო, ვერ მიმიხვდით. იყო და არა იყო რა, იყო ერთი ჩვეულებრივი შეშის ღერი.

როგორ მოხდა, არ ვიცი, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს ეს შეშის ღერი მოხუცი დურგლის სახელოსნოში აღმოჩნდა. მოხუც ოსტატს ანტონიო ერჭვა, მაგრამ ყველა „ოსტატ ალუბალს“



პირი დაადო და ენა ნიკაპზე გადმოეკიდა. ბოლოს ძალ-ღონე მოიკრიბა და, თუმცა შიშისაგან იხევ ცახცახებდა, ხმამალლა დაიწყო:

— არა, მაინც ვინ ყვიროდა „ვაიო“? აქ არავინ არის... იქნებ შეშის ღერი ტიროდა ბავშვებით!... არა, მაგას რა დამაჯერებს! ეს ღერი ცეცხლს რომ შეფუკეთო, მთელ ქოთან ლობიოს მომიხარშავს, მაგრამ იქნებ... შეშის ღერი ვინმეა შემცვრალი, პა? ვაი მისი ბრალი. ახლავე ვუწვევებ სერის!

ცული გვერდზე გადადო, შალაშინი აიღო და ღეროს გაუსვ-გამოუსვა.

— უი, გაჩერდი, გეთაყვა, მთელ ტანზე მიღიტინებ! — ამბობდა ვიღაც და სიცილით იგუდებოდა.



ახლა კი ოსტატი ალუბალი მეხდაცემულივით დავარდა ძირს. როცა გონს მოვიდა, დაინახა, რომ ყველაფერი იხევ იატაკზე ეყარა. ღურ-გალს სახე მოღრცეოდა, ხოლო ჰარხალივით წითელი ცხვირის წვერი შიშისაგან გალურჯებოდა.

ამ დროს კარზე მოუკაკუნეს:  
— შემოდით, — ძლივს ამოიღულულა ღურ-გალმა, ფეხზე წამოდგომა კი ვერ შესძლო.

სახელისნოში ერთი ჰარმაგი მოხუცი შემოვიდა. მას ჯეპეტო ერქვა, მაგრამ ბავშვები ზედმეტ სახელად „მუადს“ ეძახდნენ, რადგან თავზე ყვეთელი პარიკი<sup>1)</sup> მართლაც მკვდივით ჰქონდა დატყეპებული. ჯეპეტოს ძალიან სწყენდა, როცა ვინმე ზედმეტ სახელს დაუძახებდა.

— გამარჯობა, ოსტატო ანტონიო, — შესძახა ჯეპეტომ, — მინდ რას ჩახჩერებიხარ?

— კიანჭველებს გამრავლების ტაბულას ვასწავლი. აქ რამ მოგიყვანათ, ბიძიკო ჯეპეტო?

— რამ და ფეხებმა. იცით რა, ოსტატო

1) პარიკი — ხელოვნური თმა.

ანტონიო, რაღაც აზრი მომივიდა თავში. რა იქნება, რომ ერთი კარგი ხის თოჯინა გავაკეთო!  
— ვაშა, მკალო!—წამოიძახა იმავე წრიპინა ხმაში.

ჯექეტომ გაიგონა თუ არა ეს, პილპილივით გაწითლდა და ღურგალს დაუყვირა:

— ვის უბედავ ასეთ შურიაცყოფას?

— რას ბრძანებთ, მე არაფერი მიკადრებია!

საქმე იქამდე მივიდა, რომ მოხუცები ერთმანეთს დაერივნენ. როცა დამშვიდდნენ, ძია ჯექეტომ ოსტატ ანტონიოს ხის ნაქერი გამოართვა და შინსაკენ გაუდგა გზას.

როგორც კი ჯექეტო შინ მივიდა, მაშინვე ხის თოჯინის გამოჩარხვას შეუდგა. „რა დავარქვა?—ფიქრობდა ჯექეტო.—მოდრი, პინოქიოს დავარქმევ. ეს სახელი ბედნიერებას მოუტანს. ოდესღაც პინოქიოთა მთელ ოჯახს ვინცნობდი. მამასაც პინოქიო ერქვა, დედასაც და შვილებსაც“.

მოუძებნა თუ არა სახელი, ჯექეტომ ჯერ თმა გაუკეთა თოჯინას, მერე შუბლი და თვალები. წარმოიდგინეთ მისი გაცემა, როცა ხის თოჯინამ თვალები აახამხამა და ჯექეტოს მიაშტერა.



— სულელი ხის თვალეზო, რას მომშტერებხარ?

მაგრამ ხის თოჯინა ხმას არ იღებდა. ჯექეტომ ახლა ცხვირი გაუკეთა. ცხვირის დამთავრება და მისი წაგრძელება ერთი შეიქნა. საწყალმა ჯექეტომ ცხვირის დაპატარავება მოინდომა, მაგრამ რაც უფრო აკრიდა, მით უფრო იზრდებოდა თავცელი ცხვირი.

პირი გაუკეთა თუ არა, თოჯინამ სიცილი დაიწყო.

— რა გაციენებს!—დაუყვირა გულმოსულმა ჯექეტომ.

თოჯინამ სიცილი შესწყვიტა და გრძელი ენა გამოჰყო. ჯექეტომ ყურადღება აღარ მიაქცია და მუშაობა განაგრძო. პირს ნიკაბი მოაბა, ნიკაბს—ყელი, მხრები, ტანი და ხელები.

ამ დროს ჯექეტომ იგრძნო, რომ ვიღაცამ პარიკი მოხადა. აიხედა და რას ხედავს!—ხის თოჯინას მისი ყვითელი პარიკი ჩაებლუჯა.

— პინოქიო,—უთხრა ჯექეტომ,—ასლავე მომეცი ჩემი პარიკი, თორემ...

პინოქიომ პარიკი თვითონ ჩამოიცივა თავზე და კინალამ გაიგულა.

— შე უმსგავსო, შენა! ჯერ მზად არც კი ხარ და რას სჩადიხარ, მამას პატვს არა სცემს! ასე არ ვარგა, ჩემო შვილო!

ჯექეტომ ფეხებიც გაუკეთა თოჯინას, ძირს ჩამოსვა და სიარული დააწყებინა. პინოქიო ნელ-ნელა აბაჯბაჯდა და მალე სულ თავისუფლად გაინავარდა. გარეთ გავიდა და ქუჩა გადაირბინა. საწყალი ჯექეტო უკან გაჰყვა, მაგრამ ვერ დაეწია. პინოქიო ისე მიბაკუნებდა თავის ხის ფეხებს ქვაფენილზე, რომ იქაურობას აყრუებდა.

1158





— დაიჭირეთ! არ გაუშვით! — უკვიროდა ჯეპეტო.

ბედად პოლიციელი გამოჩნდა. პინოქიო მიხვდა, რომ პოლიციელმა გზა გადაუჭრა და ფხებქვეშ უნდოდა გასძვრომოდა. მაგრამ პოლიციელმა ცხვირში სტაცა ხელი პინოქიოს და ჯეპეტოს გადასცა. მოხუცს უნდოდა პინოქიოსათვის ყური აეწია, მაგრამ სად ჰქონდა ყური! ჯეპეტოს ყურის გაკეთება დავისუკებოდა. ჯეპეტომ ქეროში ჩაავლო ხელი პინოქიოს და დაეშუქრა:

— დამცადე, შინ წაგიყვანო, რა დღეს დავყრი!

პინოქიოს შეეშინდა მუქარისა, გაწვა მიწაზე და აღარ განძრეულა. გარს უამრავი ხალხი შემოიხვია.

— საწყალი ხის თოჯინა, — იბრალებდნენ ისინი, — რა ჰქნას, თუკი შინ წახვლა არ უნდა! იცის, რომ ეს არამზადა ჯეპეტო ცხვირიდან ძმარს ადენს.

მათ იმდენი იქაქანეს, სანამ პოლიციელმა პინოქიო არ განათავისუფლა და მის მაგივრად საწყალი ჯეპეტო არ ჩასვა. მოხუცს მოულოდნელობისაგან თავის გასამართლებელი სიტყვაც ვერ ადებდა.

— ბედშავო შვილო! მე კი როგორ ვცდილობდი, შენგან წესიერი ხის თოჯინა გამომეყვანა! მაგრამ ახია ჩემზე!

რაც შემდეგ მოხდა, ამაზე სხვა დროს ვიამბობთ.

იტალიურიდან თარგმნა  
ლეილა ერამეშ



„მწყემსი“.  
ქეთევან ოქროპირიძე,  
7 წლის, (თბილისი) ➡



პიონერები ხეს რგავენ  
ნახატი თამარ  
ჯავრიშვილისა  
7 წლის. (კასპის რაიონი,  
სოფ. ერთაწმინდა) ➡




ია  
ნახატი ლია  
ცუცქერიძისა  
7 წლის. (გაგრა) ➡



წინილები

პლიკაცია ციცილა გოლაშვილისა. 7 წლის. (წნორი) ➡



ზამთარი. ნახატი მარინე ოქროპირიძისა  
(ქარელის საბავშვო სახლის აღსაზრდელი) ➡



რეზუსი შეადგინა კ. გოგიაშვილმა

ხიხატი ი. პარნიშვილისა

ყლის მხატვრობა ეკუთვნის შ. როინიშვილს

რედაქტორი იოსებ ნონეშვილი. სარედაქციო კოლეჯია: ი. გრიშაშვილი, კ. გოგიაშვილი, მაყვალა მრეველიშვილი (რედაქტორის მოადგილე), ი. ხიხარულიძე, წ. შანაჭყოშვილი, შ. ცხადაძე (სამხატვრო რედაქტორი) ბაზრთაძის (ოცდაამთერთმეტე ფული) ფასი 20 კაპ.

ტექ. რედაქტორი ი. არღვიშვილი რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ დაუბრუნდებათ

გამომცემლობა "ნატადული", რედაქციის მისამართი: თბილისი, ბუხარაძის ქუჩის 91, ტელ. 3-37-38, ფაქსი. შუგ. № 10, სტამბა შუგ. № 387 ტარაგი 35000 ხელმოწერილია დასახელებად 15/II 1961 წ. ურბნო დაქვეყნდა ლიპოვცხტერ ჰეგვის ფარიაჟი  
 Д И Л А — еженедельный детский журнал ЦК АКСМ Грузии и Республиканского совета организации юных пионеров им. В. И. Ленина. № 3, март, 1961 г. Тбилиси, адрес. Палезаева 91.